მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის
ასოციაცია

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო

2005

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი 3
2. პასუხისმგებლობების განაწილება 4
3. ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პოლიტიკა 5
4. ალკოჰოლის და ნარკოტიკული საშუალებების აკრძალვის პოლიტიკა 6
5. გარემოს დაცვა 7
6. რისკის შეფასება 8
7. სამუშაო ადგილის პირობები 9
7.1 სისუფთავე და ნარჩენები 9
7.2 ვენტილაცია 9
7.3 ტემპერატურა შენობაში (შიდა სამუშაოები ოფისებში) 9
7.4 *განათება* 9
7.5 ოფისის ფართი და სამუშაო ადგილი 9
7.6 ფანჯრები, იატაკები, კედლები და ჭერი 10
7.7 სანიტარია 10
8. ტრანსპორტირება / ავტომანქანები 10
8.1 დროებითი სარგებლობის სატრანსპორტო საშუალებები 10
8.2 ხანგრძლივი ვადით სარგებლობის სატრანსპორტო საშუალებები 11
9. სახანძრო- და ელექტროუსაფრთხოება 12
10. პირველადი დახმარება / საგანგებო მდგომარეობა 13
11. ანგარიშგება 14

1. შესავალი

ამ სახელმძღვანელოს მიზანია მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის (შემდგომში - "ასოციაცია") ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნათა დადგენა.

ჯანმრთელობისა დაუსაფრთხოების სახელმძღვანელოთი განსაზღვრული დებულებების დაცვა და შესრულება აუცილებელია ასოციაციის ყველა თანამშრომლისათვის, მიუხედავად თანამდებობისა და სამუშაო ადგილმდებარეობისა.

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის პროცედურების განხორციელება მინიმუმამდე დაიყვანს არსებულ ან შესაძლო უბედურ შემთხვევებს, სამსახურებრივ საქმესთან დაკავშირებულ სხეულის დაზიანებებს ან სხვა რისკებს.

სახელმძღვანელო განსაზღვრავს ასოციაციის მიერ მიღებული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სისტემის ორგანიზების, კოორდინირების, უზრუნველყოფისა და ანგარიშგების საკითხებს.

ამ სახელმძღვანელოში განსაზღვრული პოლიტიკის, პროცედურების ან/და პასუხისმგებლობების ცვლილებების შესახებ ეცნობება ასოციაციის ყველა თანამშრომელს და, საჭიროების შემთხვევაში, მესამე პირებს. ეს ცვლილებები მიეწოდება ასოციაციის ყველა თანამშრომელს და სხვა შესაბამის პირებს.

ასოციაციის ყველა თანამშრომელი მიიღებს ამ სახელმძღვანელოს ასლს. ყველა ახალ თანამშრომელს მისი უშუალო ხელმძღვანელი გააცნობს და აუხსნის უსაფრთხოების წესებს და, შესაბამისად, დაეხმარება მას დაიწყოს მუშაობა უსაფრთხოების წესების დაცვით.

2. პასუხისმგებლობების განაწილება

ასოციაციას ჰყავს უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გადამოწმებასა და შემუშავებაზე.

უსაფრთხოების მენეჯერი თავისი საქმიანობით უზრუნველყოფს:

- ორგანიზაციის ყველა თანამშრომლის მიერ ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული შესაბამის ტრენინგის გავლას
- აღჭურვილობისა და სატრანსპორტო საშუალებების ისეთ მდგომარეობაში ყოფნას, რომელიც შეესაბამება მათ დანიშნულებას, ასევე მათი უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობების დაცვას;

- ყველა თანამშრომლის მიერ უსაფრთხოების ზომებთან დაკავშირებით შიდა ორგანიზაციული სახელმძღვანელოს ვალდებულებების შესრულებას, ასევე ისეთი გარემოს შექმნას, რომ ყველა თანამშრომელმა ითანამშრომლოს ასოციაციის ხელმძღანელობასთან ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ არსებული სახელმძღვანელოთი განსაზღვული მოთხოვნების შესრულების მიზნით;

ასოციაციის თანამშრომელი, რომელსაც გაუჩნდება ეჭვი საკუთარი ან სხვა პირის უსაფრთხოების თაობაზე, დაუყოვნებლივ აცნობებს უშუალო ხელმძღვანელს შესაძლო საფრთხის შესახებ.

3. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა

ასოციაციის პოლიტიკაა განახორციელოს ყველა ღონისძიება, რაც უზრუნველყოფს ასოციაციის თანამშრომლების, ასევე ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მესამე პირის ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას.

ასოციაციის თანამშრომლები ვალდებულნი არიან შეასრულონ ასოციაციის უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნები და ითანამშრომლონ ასოციაციის ხელმძღვანელობასთან სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

ასოციაცია აცხადებს მზადყოფნას, განახორციელოს უსაფრთხოების ზომები და იღებს სამუშაო ადგილის უსაფრთხოების დაცვის და შენარჩუნების პასუხისმგებლობას.

ასოციაციის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც დაარღვევს უსაფრთხოების პოლიტიკის ან უსაფთხოებასთან დაკავშირებულ სხვა მოთხოვნებს, დაისჯება დისციპლინური სასჯელით და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში განთავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან.

ასოციაციაში ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვის სისტემის შესახებ ასოციაციის ყველა თანამშრომელს ჩაუტარდება ზოგადი სახის ტრენინგი. დამატებითი ტრენინგი ჩაუტარდებათ ასოციაციის ახალ თანამშრომლებს და სხვა შესაბამის პირებს, საჭიროებისამებრ.

უსაფრთხოების მენეჯერი ვალდებულია, ორგანიზება გაუწიოს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის შესახებ ტრენინგს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე თანამშრომელი თვლის, რომ ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ტრენინგის გარდა, მისთვის სასურველია გაიაროს უსაფრთხოების შესახებ სხვა კონკრეტული სახის ტრენინგი, მან უნდა მიმართოს უშუალო ხელმძღვანელს.

4. ალკოჰოლის და ნარკოტიკული საშუალებების აკრძალვის პოლიტიკა

ასოციაცია პასუხისმგებელია, შესაძლებლობის ფარგლებში, უზრუნველყოს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო და თვლის, რომ ამ გარემოს შესაძლოა საფრთხე შეუქმნან იმ პირებმა, რომლებიც სამუშაო დროს იღებენ ალკოჰოლსა ან/და ნარკოტიკულ საშუალებებს, რამაც შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს მათ ჯანმრთელობაზე, მუშაობის უნარზე, ქცევაზე, უსაფრთხოებაზე ან სხვა პირების უსაფრთხოებაზე.

ასოციაციის ყველა თანამშრომელი, მიუხედავად მათი სტატუსისა, ვალდებულია დაემორჩილოს და შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობის, ასევე ასოციაციის პოლიტიკის მოთხოვნები ალკოჰოლის ან/და ნარკოტიკული საშუალებების მიღების თაობაზე, ასოციაციის და მისი პარტნიორების ტერიტორიებზე ყოფნის დროს, ანგარიშგებისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

ასოციაციის შენობაში ყოფნის დროს აკრძალულია ალკოჰოლის მიღება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს განპირობებულია სამსახურებრივი ღონისძიებებიდან გამომდინარე ან ნებადართულია ასოციაციის ხელმძღვანელობის მიერ. ნებისმიერი თანამშრომელი, მათი სტატუსის მიუხედავად, დაისჯება დისციპლინური სასჯელით, თუ იგი ასოციაციის ოფისის ტერიტორიაზე ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიიღებს ნარკოტიკულ საშუალებებს ან ალკოჰოლს, ან თუ მათი მიღების გამო ვერ შეძლებს სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელებას.

ასოციაციას აქვს უფლება, ადგილიდან დაითხოვოს ან სამსახურიდან დროებით გაათავისუფლოს თანამშრომელი, რომელიც ეჭვმიტანილია აღნიშნული წესის დარღვევაში. ასეთი ფაქტი დაექვემდებარება შემდგომ გამოძიებას.

ასოციაციას ურჩევნია დასჯის ნაცვლად დაეხმაროს თანამშრომლებს, რომელთაც შესაძლოა შეექმნათ პრობლემები ნარკოტიკული საშუალებების ან/და ალკოჰოლის მიღების გამო. ის თანამშრომლები, რომლებიც ითხოვენ დახმარებას და აღიარებენ, რომ მათ ალკოჰოლთან ან წამლებთან დაკავშირებული პრობლემა აქვთ, ასოციაციისგან მიიღებენ თანადგომას და დახმარებას.

5. გარემოს დაცვა

ასოციაციის თანამშრომლები ყოველთვის ეცდებიან, მინიმუმამდე შეამცირონ ნარჩენების ოდენობა. ისინი შეასრულებენ ნარჩენების გამომუშავების, გადატანის, შენახვის, მოპყრობის ან/და გადაყრის წესებს. ისინი ასევე გაითვალისწინებენ კონკრეტული გარემოს თავისებურებებს.

6. რისკის შეფასება

ასოციაციის პოლიტიკა ითვალისწინებს, რომ ხელი შეუწყოს ყველა თანამშრომელს და მესამე პირს, ითანამშრომლონ ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით.

ამ პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელია საშიშროებების იდენტიფიცირება და ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს ასოციაციის თანამშრომლების, მესამე პირების, კონტრაქტორებისა და სტუმრების მიერ სხეულის დაზიანებების მიღების და ჯანმრთელობის გაუარესების თავიდან აცილებას.

რისკის შეფასება უნდა მოხდეს ყოველი ცალკეული საქმიანობისთვის. ასევე უნდა გამოვლინდეს საქმიანობის კონკრეტული სფეროები, რომელთაც დაწვრილებითი შეფასება ესაჭიროება.

რისკის შეფასების პროცედურის მიზანია ასოციაციის თანამშრომლების და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა პირების ჯანმრთელობის უზრუნველყოფა და მათი უსაფრთხოების ეფექტური მენეჯმენტი, რათა თავიდან იქნას აცილებული მოულოდნელი საფრთხე.

რისკის შეფასება უნდა განხორციელდეს სულ ცოტა წელიწადში ერთხელ იმ შემთხვევაში, თუ წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება სამუშაო გარემო ან საქმიანობები, სავალდებულოა რისკის შეფასების ხელახალი განხორციელება.

რისკის შეფასება სავალდებულოა ახალი პროცედურების განხორციელებამდე.

რისკის შეფასების ეფექტური განხორციელებისთვის საჭიროა განისაზღვროს საქმიანობები, მოულოდნელი შემთხვევები, პირები, რომელთაც ელით საფრთხე, რისკის მნიშვნელოვანება, განხორციელებული კონტროლი და მიღებული გადაწყვეტილებები.

რისკის შეფასება განხორციელდება უსაფრთხოების მენეჯერის მიერ კონკრეტულ საქმიანობაში ჩართულ ხელმძღვანელ და ზედამხედველ პირებთან ერთად.

7. სამუშაო ადგილის პირობები

7.1 სისუფთავე და ნარჩენები

ოფისის ხარისხიანი დასუფთავება უსაფრთხოებისა და უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ყველა თანამშრომელს მოეთხოვება:

- უზრუნველყოს შესასვლელებთან, დერეფნებთან, სავალ ადგილებთან და გასასვლელ კარებთან შეუფერხებლად მიდგომა;
- სარგებლობის შემდეგ კარგად დახუროს ყველა კარი, ფაილების კაბინეტი და უჯრა;
- არ გადატვირთოს თაროები ან არ შეინახოს მძიმე ნივთები ზედა თაროებზე, გარდა მძიმე ნივთებისათვი სპეციალურად განკუთვნილი თაროებისა;
- არ დატოვოს ანთებული სიგარეტის ნამწვავი უყურადღებოდ სპეციალურად გამოყოფილ იმ ადგილას, სადაც მოწევა ნებადართულია;
- არ დააგროვოს ნარჩენები სხვა ადგილას გარდა შესაბამისი სანაგვე ყუთებისა.

7.2 ვენტილაცია

აუცილებელია შენობებში სამუშაო ადგილების უზრუნველყოფა საკმარისი რაოდენობის სუფთა და გაწმენდილი ჰაერით. ვენტილაციის დანადგარები გაუმართაობის შემთხვევაში უნდა იძლეოდეს შესამჩნევ სიგნალს.

7.3 ტემპერატურა ოფისებში

ტემპერატურა უნდა დარეგულირდეს ისე, რომ თანამშრომლებს არ ესაჭიროებოდეთ განსაკუთრებული ტანსაცმლის ტარება. თუ სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლებელია საშუალო ტემპერატურის შენარჩუნება, აუცილებელია კომფორტული და, შესაძლებლობისდაგვარად, მისაღები ტემპერატურის უზრუნველყოფა.

7.4 განათება

განათება უნდა იყოს საკმარისი, რათა თანამშრომლებმა შენობის ნებისმიერ ადგილას შეძლონ მუშაობა და ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე უსაფრთხოდ და დაბრკოლების გარეშე გადაადგილება.

საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებული რისკის ადგილებში და ა.შ., უნდა დამონტაჟდეს ადგილობრივი განათება.

7.5 ოფისის ფართობი და სამუშაო ადგილი

ოფისში (ოთახში) უნდა იყოს საკმარისი ფართობი, რათა თანამშრომლებმა შეძლონ მასში თავისუფლად შესვლა, გამოსვლა და გადაადგილება.

სამუშაო ადგილი მოწყობილი უნდა იყოს ისე, რომ თანამშრომლებმა შეძლონ სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულება.

სამუშაო ადგილები და მათთან მისასვლელები უნდა აკმაყოფილებდეს ცალკეული თანამშრომლების განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს. (თუკი ასეთი არსებობს).

7.6 ფანჯრები, იატაკები, კედლები და ჭერი

ფანჯრები, რომელთა გაღებაც შესაძლებელია, უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი, უნდა იღებოდეს ადვილად და კონტროლდებოდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

ფანჯრები ღია მდგომარეობაში არ უნდა უქმნიდეს თანამშრომლებს დაჯახების საშიშროებას.

იატაკზე და კედლებზე არ უნდა განთავსდეს ისეთი ნივთები, რაც იწვევს უბედური შემთხვევების რისკს.

გასანათებელი მოწყობილობები მყარად უნდა დამონტაჟდეს ჭერში, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი ჩამოვარდნა და თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის საშიში სიტუაციების შექმნა.

7.7 სანიტარია

ასოციაციაში უნდა იყოს საკმარისი სანიტარიული ხელსაწყოები.

ოთახები, სადაც მოთავსებულია სანიტარიული ხელსაწყოები, უნდა ნიავდებოდეს და ნათდებოდეს შესაბამისად.

ეს ოთახები უნდა იყოს დალაგებული და სუფთა.

ამ ოთახებში უნდა იყოს საპონი ან სხვა ჰიგიენური საშუალება.

ამ ოთახებში უნდა იყოს პირსახოცები ან სხვა გასაშრობი საშუალებები.

8. ტრანსპორტირება / ავტომანქანები

8.1 დროებითი სარგებლობის სატრანსპორტო საშუალებები

დროებითი სარგებლობის სატრანსპორტო საშუალება გულისხმობს ისეთ მიკრო-ავტობუსებს, ავტობუსებს ან ავტომანქანებს, რომლებიც გამოიყენება ახლო ან შორ მანძილზე სამგზავროდ, მათ შორის, სამუშაო ადგილის გარეთ კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების მოწყობის მიზნით გადასაადგილებლად. დროებითი სარგებლობის სატრანსპორტო საშუალებისათვის სავალდებულოა შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილება:

- ავტომობილის მძღოლს უნდა ჰქონდეს ავტომობილის მართვის უფლების მოქმედი დოკუმენტაცია, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;
- ავტომობილის შიგნით ან გარეთ არ უნდა აღინიშნებოდეს რაიმე სახის დეფექტი, რაც თანამშრომელთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას შეუქმნის საფრთხეს;

- ავტომობილი უნდა შემოწმდეს წინასწარ, რათა უზრუნველყოფილი იქნას უსაფრთხო და შეუფერხებელი მგზავრობა;
- უსაფრთხოების მენეჯერი, ადმინისტრაციულ მენეჯერთან ერთად, პასუხისმგებელია ზევით ჩამოთვლილი უსაფრთხოების ზომების მიღების ზედამხედველობაზე.

8.2 ხანგრძლივი ვადით სარგებლობის სატრანსპორტო საშუალებები

ხანგრძლივი ვადით სარგებლობის სატრანსპორტო საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების შემდეგ მოთხოვნებს:

- ავტომობილის მძღოლს უნდა ჰქონდეს ავტომობილის მართვის უფლების მოქმედი დოკუმენტაცია, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და საქართველოს საგზაო რუკა, იგივე სამარშრუტო გეგმა;
- ავტომობილის შიგნით ან გარეთ არ უნდა აღინიშნებოდეს რაიმე სახის დეფექტი, რაც თანამშრომელთა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას შეუქმნის უბედური შემთხვევის საფრთხეს;
- ავტომობილი უნდა შემოწმდეს წინასწარ, რათა უზრუნველყოფილი იქნას უსაფრთხო და შეუფერხებელი მგზავრობა;
- ავტომობილი აღჭურვილი უნდა იყოს უსაფრთხოების ღვედებით ყველა მგზავრისთვის;
- ავტომობილში მოთავსებული უნდა იქნას პირველადი დახმარების აფთიაქი და ცეცხლმაქრი;
- ავტომობილში მოთავსებული უნდა იქნას სათადარიგო საბურავი, საქაჩი თოკი, ხელსაწყოების ნაკრები, აირის დგუში, დომკრატი, მაშუქი მოსასხამი მძღოლისათვის, ხელთათმანები, ფანარი და გამაფრთხილებელი სამკუთხედი;
- მძღოლს უნდა ჰქონდეს მობილური ტელეფონი, რომლის გამოყენებაც ნებადართულია, თუ ავტომანქანა გაჩერებულია სავალი გზის გვერდით და ძრავა გამორთულია.

ასოციაციაში მომუშავე ყველა მძღოლი შეასრულებს სიჩქარის შეზღუდვებისა და სატრანსპორტო საშუალებების მართვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

სასურველი არ არის ღამით მგზავრობა, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელთაა აუცილებლობასაც დაასაბუთებს ავტომობილის მძღოლი. ასეთ შემთხვევაში მგზავრობის დაწყებამდე და მგზავრობის დასრულების შემდეგ უნდა ეცნობოს უსაფრთხოების მენეჯერს ან/და ადმინისტრაციულ მენეჯერს.

უსაფრთხოების და ადმინისტრაციული მენეჯერები ვალდებულნი არიან რეგულარულად აწარმოონ ავტომობილების შემოწმება, რათა უზრუნველყონ, რომ ავტომანქანები აღჭურვილ იქნეს ყველა შესაბამისი მოთხოვნის დაცვით.

შორ მანძილზე ტრანსპორტირებას კოორდინაციას უწევს უსაფრთხოების მენეჯერი. მგზავრობის დაწყებამდე და მგზავრობის დასრულების შემდეგ მძღოლებთან კონტაქტის დამყარების საშუალებით.

მგზავრობის დროს ყველა მგზავრი ვალდებულია გაიკეთოს უსაფრთხოების ღვედი.

მგზავრთა რაოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ავტომობილში ადგილების რაოდენობას.

9. სახანძრო- და ელექტროუსაფრთხოება

ასოციაცია უზრუნველყოფს საჭირო სახანძრო მოწყობილობების განთავსებას შესაბამის ადგილებზე ამ სახელმძღვანელოს მოთხოვნათა დაცვით. ასოციაციის პოლიტიკაა ამ მოწყობილობებით აღჭურვოს თავისი ოფისები. ასოციაციის ყველა თანამშრომელს მოეთხოვება სახანძრო სწავლების გავლა მუშაობის დაწყებამდე. სახანძრო ევაკუაციის ვარჯიშები ჩატარდება რეგულარულად. ცეცხლსაქრობ მოწყობილობებს რეგულარულად შეამოწმებს უსაფრთხოების მენეჯერის მიერ დანიშნული ზედამხედველი. ცეცხლსაქრობი მოწყობილობები შემოწმდება კვარტალურად.

სახანძრო გასასვლელების მისადგომები უნდა იყოს ყოველთვის თავისუფალი. აკრძალულია სახანძრო კარების ბლოკირება შიგნიდან ან გარედან.

აკრძალულია კარების საკეტით ჩაკეტვა. ასოციაციის ყველა თანამშრომელი გაივლის შესაბამის წვრთნას ცეცხლსაქრობი მოწყობილობის გამოყენების შესახებ.

თანამშრომლებისათვის ცნობილი უნდა იყოს თუ რა სახის ცეცხლსაქრობი მოწყობილობებია განთავსებული უშუალოდ მათ სამუშაო ადგილზე. თანამშრომლებმა არ უნდა დააგროვონ აალებადი მასალა სამუშაო ადგილას და არ უნდა მიუახლოვონ ეს მასალა ცხელ ზედაპირებს ან მაღალი ტემპერატურის წარმომშობ წყაროებს.

გაზის გაჟონვის შემთხვევაში უნდა გამოირთოს ყველა ელექტრომოწყობილობა და შენობაში მყოფმა ყველა პირმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს შენობა. ამ შემთხვევის შესახებ უნდა ეცნობოს საგანგებო სიტუაციებში დახმარების სამსახურს.

შენობაში ხანძრის გაჩენის შემთხვევაში შენობაში მყოფმა ყველა პირმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს შენობა სახანძრო ევაკუაციის ნიშნების შესაბამისად.

ცეცხლმაქრის კედლიდან მოხსნა ნებადართულია მხოლოდ საგანგებო სიტუაციის დროს. ცეცხლსაქრობი მოწყობილობის კედლიდან მოხსნა სხვა სიტუაციებში, მნიშვნელოვანი მიზეზის გარეშე, ისჯება დისციპლინური სასჯელით.

გამოყენებული ელექტრომოწყობილობები უნდა იყოს მწყობრში. არ შეიძლება ელექტრომოწყობილობის გამოყენება, თუ ის მწყობრიდან არის გამოსული. ელექტრომოწყობილობის დაზიანების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშუალო ხელმძღვანელს.

ელექტროგაყვანილობებში რაიმე ცვლილება (მათ შორის, ახალი ელექტროშესაერთებლების დამონტაჟება) უნდა განახორციელოს სპეციალისტმა და ამის შესახებ უნდა ეცნობოს უსაფრთხოების მენეჯერს.

სამფაზიან ელექტროსისტემებზე ან დენის გამტარ მოწყობილობებზე მუშაობა ეკრძალება ყველა არაკვალიფიციურ პირს. ასეთი საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა კონკრეტული რისკის შეფასება.

ელექტროსისტემების გამოყენების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნებია:

- გამოყენების შემდეგ უნდა გამოირთოს ყველა ელექტრომოწყობილობა. არ შეიძლება ელექტროჩამრთველების გადატვირთვა;
- სადენები არ უნდა განათავსდეს ისეთ ადგილებში, რომ თანამშრომლებს ან სხვა პირებს შეიქმნათ საფრთხე.

10. პირველადი დახმარება / საგანგებო მდგომარეობა

ასოციაცია განახორციელებს პირველად დახმარებას ამ სახელმძღვანელოს მოთხოვნათა შესაბამისად. იმ პირის (პირების) სახელები და გვარები, რომლებიც შეირჩევიან პირველადი დახმარების განხორციელებისათვის, გამოიკვრება ასოციაციის შეტყობინებათა დაფაზე ყველა ოფისში ან/და შესაბამისად სიტყვიერად ეცნობება ყველა თანამშრომელს.

თუ რომელიმე თანამშრომელი მიიღებს რაიმე სახის ტრავმას, მისი სიმძიმის მიუხედავად, უნდა ეცნობოს კონკრეტული თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელს და პირველად დახმარებაზე პასუხისმგებელ პირს. აღნიშნული ტრავმა უნდა დაფიქსირდეს უბედურ შემთხვევათა წიგნში. დაზარალებულ პირს მოეთხოვება შემთხვევასთან დაკავშირებული მოვლენების აღწერა.

თუ ადგილი ექნება სერიოზულ უბედურ შემთხვევას, პირველად დახმარებაზე პასუხისმგებელ პირს ევალება სასწრაფო დახმარების მანქანის გამოძახება.

პირველად დახმარებაზე პასუხისმგებელი პირია ორგანიზაციის მიერ უფლებამოსილი უსაფრთხოების მენეჯერი. ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში საჭიროა პირველად დახმარებაზე პასუხისმგებელ პირთან ან/და უშუალო ხელმძღვანელთან დაკავშირება ასოციაციის მიერ უზრუნველყოფილი ნომრის საშუალებით, რომელიც იმუშავებს 24 საათის განმავლობაში.

უსაფრთხოების მენეჯერთან დაკავშირების შეუძლებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს ასოციაციის ადმინისტრაციულ მენეჯერთან ან უშუალო ხელმძღვანელთან დაკავშირება.

11. ანგარიშგება

ასოციაციის ყველა თანამშრომელი ვალდებულია, უსაფრთხოების მენეჯერს აცნობოს ნებისმიერი ტრავმის ან მოულოდნელი შემთხვევის შესახებ.

უბედური შემთხვევების წიგნში ჩაიწერება უსაფრთხოების მენეჯერისათვის ცნობილი ნებისმიერი ტრავმის ან უბედური შემთხვევის შესახებ.

უსაფრთხოების მენეჯერი ვალდებულია, აწარმოოს და განაახლოს ჩანაწერები უბედურ შემთხვევათა წიგნში.

უსაფრთხოების მენეჯერებს შეუძლიათ აწარმოონ დამატებითი მოკვლევა ტრავმებთან და უბედურ შემთხვევებთან დაკავშირებით, რათა სიტუაციის ანალიზის საშუალებით მინიმუმამდე შემცირდეს მსგავსი სიტუაციების განმეორება.